№ 264 23 დეკემბერი, შაბათი 1866—1878 23 დეკემბერი, შაბათი № 264

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის (სადოვაია) ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში № 33.

კანტორა რედაქციისა: იქვე, სადაც იმყოფება რედაქცია.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთისთვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ახო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

მომავალს 1879 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა მუდამ დღე და იმავე პროგრამმითა და მიმართულებით როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

თფილისში—მიიღება „დროების“ რედაქციაში (ბალის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლებში, № 33).

გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію газ. „Дроэба“.*

აგენტების საშუალებით გაზეთის დაბარება შეიძლება მხოლოთ იმ პირობით, რომ ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იყოს რედაქციაში გამოგზავნილი.

გაზეთის ფასი

მთელის წლისა — — — — — — — — — —	8 მან.
ნახევარის წლისა— — — — — — — — — —	5 „
სამის თვისა — — — — — — — — — — —	3 „
ერთის თვისა — — — — — — — — — — —	1 „

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

ხვედრი ფასი გაზეთისა დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს გამოგზავნილი; უფულოთ გაზეთი არავის არ გაეგზავნება.

საქართველო

დღიური

*** მოგეხსენებათ, რომ ამ სამი წლის წინათ, 25 მარტს 1876 წელს, დიდის მზადებითა და ამბით იყო თფილისის ერთ-დღიური აღწერა, რომლითაც უნდა შეეტყოთ ყოველი გარემოება და ვითარება ქალაქისა და იმის მცხოვრებლებისა, თუ რამდენი უძრავი და მოძრავი ქონებაა თფილისში, რამდენი ოჯახი, სული, რამდენი მამათ და დედათ სქესი ცხოვრებს, რა საშუალებით, რა ხელობით, რა ტომისა და სარწმუნოების ხალხი ცხოვრებს და სხვ. და სხვ.

მას აქეთ აგერ სამი წელიწადი მიდის და ამ აღწერილობის შედეგი სრულიად არა ვიცით-რა, არა გამოცხადებულა-რა! მხოლოთ ახლა გაზ. „კავკაზი“ გვაცნობებს, რომ ამ დღეებში გაათავებენ იმ ერთ-დღიურის აღწერის დროს შეკრებილი ციფრების განხილვასაო და იმედი არისო, რომ მომავალ 1879 წელს გამოცხადებული იქნებაო თფილისის ერთ-დღიური აღწერის შედეგიო!..

*** ბაქოს გაზეთში იწერებიან, რომ რადგან აქ ახალი ნავთის წყაროები აღმოჩნდნენ, ამის გამო ნავთის ფასი ძალიან დაეცაო. ამ ჟამად ბაქოში ფუთი ნავთი 2 კაპეიკად-ორ ნახევარ კაპეიკად ისყიდებაო.

*** ჯავახეთიდამ მივიღეთ ამბავი, რომ იქაურს სასოფლო შკოლებში სწავლა ძალიან სუსტად მიდისო, შაგირდებიც ძალიან ნაკლებათ დაიარებიანო.

ამ გარემოების უმთავრესს მიზეზს ჩვენი კორრესპონდენტი იმას მიაწერს, რომ ამ მაზრაში თითქმის ყველგან კავკასიის ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებისაგან არის შკოლები გამართულიო და ამ შკოლებში თავიდამვე, პირველ დაწყებიდამვე ყმაწვილებს რუსულს, უცნობს ენაზე აწყებინებენ სწავლასაო, ასე რომ იქაურ ქართველ ყმაწვილებს, მაგალითად, ქართულს ანბანს თვალითაც არ ანახვებენო.

გასაკვირველია, რომ ერთსა-და-იმავე უწყებაში სულ სხვა-და-სხვა სწავლის სისტემა არის შემოღებული; ჩვენი სასოფლო შკოლების დირექტორებმა კანონად და წესად მიიღეს პედაგოგიური ჭეშმარიტება, რომ პირველ-დაწყებითი სწავლა შკოლებში სამშობლო ენაზედ იყოსო და ამ ჭეშმარიტების-და-გვარად იქცევიან. მაგრამ უფ. ლიხაჩოვი—ინსპექტორი ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების შკოლებისა—კი ჯერ კიდევ ურჩობს, ჯერ კიდევ. ფეხ-ქვეშ სთელავს ამ ჭეშმარიტებას!

როდემდინ?

იმედი გვაქვს ახალი პოპეჩიტლის უფ. იანოვსკის მოსვლამდინ...

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ახალციხის უეზდში ამჟამად ქართველ კათოლიკეთ მღდლების მეცადინეობითა და თაოსნობით ოც-და-ხუთ შკოლაზედ მეტი არის გამართულიო. განსაკუთრებითი მეცადინეობა აღმოუჩენიათ ამ კეთილს საქმეში მღვლებს: მ. ი. გვარამაძეს და მ. ასლანოვს; ამასთანავე სახალხო განათლების საქმეს ძალიან გულმოდგინეთ ხელს უწყობს თურმე უფ. ალ. მეფისაშვილი, რომელიც ხშირად თავის ხარჯითაც ჰყიდულობსო თფილისში ქართულ საკითხავ და სახელმძღვანელო წიგნებსა და ახალციხის სასოფლო შკოლებში ურიგებსო.

*** ამ კვირის სამშაბათს, 19 დეკემბერს, აქაურს სამხედრო ოლქის სასამართლოში გაარჩიეს საქმე შორაპნის მაზრის მცხოვრებლებისა: თ. დათო წულუკიძისა, აზნაურების: სარდიონ ქავთარაძისა, ისმაილ ქახიძისა და გლეხთ დათო ხუსკივაძისა, ბიჭია თოფაძისა, ბესარიონ პატარიძისა და უაფლან ქავთარაძისა, რომელნიც სამხედრო სასამართლოში იყვნენ მიცემულნი იმისთვის, რომ ამათ ბრალდებოდათ, ვითომც შორაპნისავე უეზდის სოფ. ჩხარის მცხოვრების საჩინო ისაკაძის წინათვე განზრახულს ჰაზრით, სასიმინდე დაეწვათ.

მოწმეებათ 26 კაცი იყო გამოხმობილი, რომელთაგან სასამართლოში 19 გამოცხადდა.

საქმის გარჩევის დროს სასიმინდეს პატრონი ისაკიძე ამტკიცებდა, რომ მე და ჩემს ცოლს, როცა ცეცხლზე გამოვედით გარეთ და დავინახეთ, რომ სასიმინდე გეწოდა, ნავთის სუნი გვეცაო; მე ხანჯალ-ამოღებული მივარდი ამ ექვს კაცსაო, ამათაც ხანჯლები ეჭირათ ხელშიო და სხვ.

მაგრამ მომეტებულ ნაწილ მოწმეებმა არ დაამტკიცეს ამ ჩვენების სიმართლე; პირ-იქით ამბობდნენ, რომ არავითარი ნავთის სუნი იმ დროს ჩვენ არ გვიგვრძნიაო, ბრალდებულები ჩვენ ცეცხლზე არ გვინახავს, ნამდვილად ვიცითო, რომ

ისინი იმ დროს თავიანთ შინ იყვნენო და სხვ.

ამ ნაირად, რადგან ეს ბრალდებულება დამნაშავეებს ვერ დაუმტკიცეს, ამის გამო სასამართლომ ყველა ,ესენი გაამართლა.

*** ამ უკანასკნელ დროს თითქმის ყველა გვარი ხორაგეული ხელ-ახლად გაძვირდა ქალაქში ასე, რომ მანეთზე ყველაფერმა აბაზი-ექვსი შაური მოიმატა ფასი.

„დროების“ კორრესპონდენცია

ბათუმი, 15 დეკემბერს. ამა მდგომარის თვის 8-დგან აჭარის მაზრაში მოხდა ხალხის არეულობა.

არეულობის მიზეზი გახლავსთ ის, რომ ოსმალოს საზღვარში დარჩომილი რამოდენიმე პირები ჩუმათ შემოიპარენ აჭარაში და შეაგონეს იქაურს ხალხს, რომ თათრის მმართებლობამ დაუთმო რუსს დედაბერამდის, რომელიც ეხლა უნდა იყოს სამზღვრათაო, ეს აჭარის მაზრა არ შედის რუსის სამზღვარშიო, მაგრამ ადგილობრივმა ბეგებმა (თავადებმა) ქრთამი აიღეს და მისყიდეს რუსს აჭარაო,—ამისთვის ჩვენ ის ბეგები უნდა ამოეწყვიტოთო და სხვ.

აი ამგვარის მქადაგებლების წყალობით, აჭარაში მოხდა ურთიერთ შორის დაცემა, სროლა, კაცთა კვლა და სხვა. მაგრამ ადგილოებრივმა აჭარის ოკრუგის მეუფროსემ მიიღო რიგიანი ზომები და დაამშვიდა ჯერ-ჯეროობით ხალხი.

ამ ხალხთან საქმის დაჭერა მეტისმეტად ძნელია: თუ იმის დანდობა და რწმუნება ვერ დაიმსახურე, არც გაეწყობა გაფიცხება, არც ამხანაგურად მოქცევა და არც დარიგება, არაფერს დაიჯერებს შენსას, მუდამ იქვეანად შემოგჩერებია.

საჭიროა, რომ ძალიან გამაგრდეს ჯარეთა ეს ადგილები და ადგილობრივს მეუფროსეს ქონდეს ღონე და საშუალება, რომ მაშინათვე დაატუ ,ღოს და დასაჯოს სამაგალითოთ არეულობის მოთავე, მკვლელი და აეაზაკი. წინაალმდეგ შემთხვევაში უმეტესად გამრავლდება ეგეთი მოქმედება *).

ბათუმის სამხედრო მაზრაში ეხლა უნდა შედგეს ოთხი სოტნა; სამი ქვეითი და ერთი ცხენოსანი, ქვეითი უნდა იქნეს თითო სოტნა თითო ოკრუგში: ბათუმში, ართვინში და აჭარაში, ხოლო ერთი სოტნა ცხენოსანი იქნება სამათ გაყოფილი და თითეული მესამედი ნაწილი იქნება თითეულს თქმულს ოკრუგში; თითეული სოტნა შედგება: სოტნის კომანდირის, მისის თანაშემწის, ორი იუნკრისა და 228 მილიციონერისაგან. ამ მილიციონერებთაგანი ერთი მესამედი უნდა იქნენ გურულები, ხოლო დანარჩენი ადგილობრივ მცხოვრებთაგანი.

ლ. ქ.

წერილი რედაქტორთან

—

უ. რედაქტორო!

„დროების“ მე-№ 257-ში ერთი პატარა შენიშვნა იყო დაბეჭდილი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს უ. ასათიანზე შესახებ მისა, რომ მან არ მიუშვა ვიღაცა უფ. ბ. გაკვეთილებზე საყურებლად.

უფ. ასათიანს ჰგონია, რომ, თუ რამე იწერება „დროებაში“ იმაზე ან იმის სასწავლებელზე, სულ მე ვსწერ და ჩემი ბეზღობის მეტს არაფერს შვრება. რა ბოლო მოსდევს, ახლანდელ დროში მაინც, ბეზღობას, როდესაც ყოველი კაცის სიტყვას ერწმუნებიან, თქვენც გეცოდინებათ.

ამისთვის გთხოვთ ამ წერილს ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულს გაზეთში და გამოაცხადოთ, რომ ის ბ. მე არა ვარ და ვერც ვიცნობ მას.

ბლაღოჩინი ლამბაშიძე

დ. ყვირილა, 19 დეკ.

საბაასო

უფ. ო. იოსელიანს

არასოდეს ჩემგან არც ერთ გაზეთში გამოგონებული, ანუ ტყუვილი ამბავი არ დაბეჭდილა და, რასაკვირველია, არც ის იყო გამოგონებული, რაც თქვენზე დაიბეჭდა, უ. იოსელიანო, „დროების“ მე-249 №-ში.

არ ღირს, რომ კაცმა ილაპარაკოს და სწეროს იმისთანა უსაფუძვლო თავის გამართლებაზე, როგორიც იყო ამ საგნის შესახებ თქვენი თავის გამართლება; მაგრამ რადგან თქვენ ხართ ერთი იმ პირთაგანი, რომელნიც ავრცელებენ ხალხში სწავლას და კეთილზნეობას, ეგონებ მეტი არ იქნება, ორიოდე სიტყვა ვსთქვა და დავამტკიცო, რომ თქვენ თავიდამ ფეხებამდის დამნაშავე ხართ ამ საქმეში.

ტყუვილია, რომ იმ ქალის მოკვლა სდომებოდეს მამას იმიტომ, რომ სომეხს არ წაჰყოლოდეს ცოლად, რადგან მამას მზითევის მიცემა არ ნდომებოდეს. მაჰა მართალია უკარგდებოდა მას მისთვის, რომ თქვენს პატიოსანს სიტყვას დაერწმუნა...

მოთმინებიდამ გამოსული ქალი მრავალჯერ გწერდათ წერილს და გთხოვდათ გეპატრონებიათ მისთვის და გამოგეყვანათ მამის საყვედურისაგან, წინაალმდეგ შემთხვევაში თავი უნდა დავიღრჩოვო...

აჰ წლის იანვრიდამ თქვენ და იმ ქალს შორის იყო ძრიელ დაახლოებული მეგობრობა დაფუძნებული თქვენს მიცემულ პატიოსან სიტყვაზე, რომ მას შეირთავთ ცოლათ.

ნუ თუ არ იცოდით თქვენ რაზედ ავიწროებდნენ იმ ახალგაზდა ქალს? მომეცით ნება გამოვააშკარავო თქვენი მიწერილი წერილი ამ ახალგაზდა ქალზე, რომლითაც თქვენ მას იბარებდით თქვენს სახლში! როგორ ამბობთ ამის შემდეგ, რომ ქალი ძალით შემოგიხტათ ოთახში?... როდესაც თქვენ თქვენივე წერილებით დაგმტკიცებთ ამ ქალთან დიდი ხნის მეგობრობას, მაშინ ხომ ფუჭი შეიქმნება ყველა თქვენი დამტკიცება იმაზე, რომ ქალი თქვენ ძალით შემოგიხტათ სახლში გამოქცეული მამისაგან? მაშინ ხომ უნდა დარწმუნდეთ, რომ პრისტავის პროტოკოლი არის შედგენილი მოხერხებით და იმისთვის, რომ პირობა შეუშალოთ ამ ქალს? ველი თქვენს ნებას ამ წერილების გამოცხადებაზე...

„ჩემი მდგომარეობა ვაცნობე ჩემს ნაცნობებს, ამბობთ უ. იოსელიანო, მაგრამ ყველამ დამიშალეს ამ ქალის ცოლათ შერთვა.“ მადლობა ღმერთსა, ძლივს არ გამოტყდით! მაშ ქალი მიტომ მოსულა თქვენთან, რომ უნდა შეგერთოთ?!

„დამარწმუნეს, ამბობს უ. იოსელიანი, ჩემიანებმა, რომ ესეები უკვირილელი გაიძვერაების საქმე უნდა ყოფილიყო.“ მოდი და ნუ გაგეცინება. ქაცი გაიტაცა ხორციელებრივმა გრძნობამ და ყვირილელ გაიძვერაობას აბრალებს! შენ რომ შენი თავი ვერ დაიკავო რიგიანათ, ვისი ბრალია? აი ეს ესთქვი ძეც წინეთ: მოვა ერთი ვინმე სხვა უეზდიდამ, ჩაიდენს აქ ათას ნაირ ხეპრობას და სისულელ ეს და ბოლოს შორაპნელებს გამოიყვანს დამნაშავედ!....

ცოტა ხანს დაგეთანხმებით თქვენ. ქარგი, ტირილით შემოგჩიელათ მამისგან გამოქცეულმა ქალმა და გთხოვა დაფარვა. როგორ მოიქეცით მერე? ჩემის ჰაზრით, თქვენ უნდა მიგეცათ ერთი ოთახი თავისი გასაღებებით, გეშოვათ მისთვის ქვეშსაგები, იმ ღამეს ანუ მეორე დღეს დილით უნდა გეცნობებიათ პოლიციისათვის ეს ამბავი და გეთხოვათ ვანკარგულება. მაგრამ თქვენ ასე არ მოიქეცით... *)

როდესაც განელო თაფლიანმა თვემ (ორ კვირამ), ნათესავებს დაეკითხეთ და

---

*) ჩვენი ჰაზრი ეს არის, რომ ჯარებითა და საზოგადოთ ძალდატანებით მხოლოდ ერთის შედეგის მიღწევა შეიძლება: მთელი აჭარის ხალხი გადასახლდება ოსმალეთში, და არა მგონია, რომ ამისთანა შედეგი ვისმესთვის სანატრელი და სასიამოვნო იქმნეს. ერთი ხეირიანი უფროსი, ხალხის ზნისა და ჩვეულების მცოდნე, ჭკვიანი-პატიოსანი კაცი უფრო მომეტებულ სარგებლო, ბას მოიტანს ამ გვარს შემთხვევაში და უფრო უკეთ მოუვლის და დაწყნარებს ხალხს, ვინემ რამდენიმე როტა და ბატალიონი ჯარი.

რედ.

*) ამის წერაზე უნებლიეთ მაგონდება ერთი ოფიცერის მეფურნე, რომელმანც დედისაგან გაგდებული ქალი მიიღო თავის მფარველობის ქვეშ...

იმათ დაგიშალეს, რადგან მზითევეიც არ ჰქონდა. ბოლოს პრისტავი დაიხმარეთ თავისი პროტოკოლებით. რატომ იმ ღამესვე არ შეატყობინეთ ეს ამბავი პოლიციას? რატომ სხვა გარეშე პირი არ დაისწარით პროტოკოლის შედგენაზე? რატომ არ უთხარით ქალს პროტოკოლის შედგენაზე, რომ იმას ცოლათ არ შეირთავთ?

პრისტავის პროტოკოლის სიყალბე არასოდეს არ მითქვამს. მე ვსთქვი, რომ პროტოკოლი არის შედგენილი მოხერხებით, რომ თავი გაგემართლებიათ და მართლაც ძლიერ დაგეხმარათ ეგ პროტოკოლი...

„ამ დროს, ამბობს უ. იოსელიანი, ახალი დირექტორიც მოვიდა და იმის გრძანებით მოუწოდე პოლიციას და მოვიცილე ქალი.„ აი რა მოხერხებით მოხდა ეს. უ. იოსელიანს გამოეცხადა, რომ ის დათხოვნილია თანამდებობიდამ. იმან ქალის შესახედავათ დაიწყო წუხილი. ბოლოს სთქვა თფილისში წავალო. ქალს კი დაუტოვა ფული ცოტა და უთხრა, მალე მოვალო და კიდეც წავიდა. ამდროს ოტნოშენია გაგზავნა მაზრის უმფროსთან, ვიღაცა უცნობი ბავში შემოიმიტა, თუ შემოიგდეს ხალხშიო, და გთხოვთ მომაშორეთო. პოლიციამ აღასრულა თხოვნა.

რომ მითხრან: ცხვარმა მგელი დაიჭირაო, დავიჯერებ, მაგრამ იმას არ დაიჯერებ, რომ მითხრას ვინმე, გასათხოვარი ქალი უცნობ კაცს ძალათ სახლში შეუხტაო...

აი, უფ. იოსელიანო, ამისთანა საქციელს აქვს დიდი გავლენა შაგირდების ზნეობით მხარეზე და არა „დროების“ კითხვას, როგორც ზოგიერთები ამტკიცებენ... მე ძრიელ მაკვირვებს თქვენი თავის ამ სახით გამართლება. არც მე და არც საზოგადოება თქვენგან ამას არ მოველოდით.

სამწუხაროა, თუ ახალმა დირექტორმა ესეები ყველა იცის და თქვენ ამ საქმეში გეწევათ და ხელს გიწყობთ; და თუ იმდენი მოახერხეთ, რომ დაარწმუნეთ სიტყვით და იმ შესანიშნავ პროტოკოლის პირით, დაანახვეთ თქვენი თავი მტრედათ, მაშინ ალბათ მოტყუებულია და არ არის დასაძრახისი მისი მოქმედება საქმის შეტყობამდისინ.

დარწმუნდით, უ. იოსელიანო, რომ მე იმ ქალის არც ნათესავი, არც მეგობარი და არც ნაცნობი არა ვარ და ჩემს ღელშიაც იმათსა არ ვყოფილვარ. მაგრამ მე მაიძულებს ჩემი სინიდისი ვსქთვა სიმართლე, როდესაც ვხედავ, რომ უსამართლობა სთელავს მას და ტალახში სვრის...

ქალი სუსტი არსებაა და ყველა კაცის ვალია ორიოდე სიტყვა სთქვას მაზე, როდესაც კაცი უპატიოსნად ეპყრობა მას. მე შენ უფრო გიცნობ და პატივს გცემ, მაგრამ ამ შემთხვევაში არ შემიძლია პირში მოგეფერო, რადგან შენსკენ სიმართლეს არ ვხედავ...

ი.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ათინა, 19 დეკემბერს. პოლკოვნიკი რიგასი ფინანსის მინისტრად დაინიშნა.

ბელგრადი, 19 დეკემბერს. ოფიციალურს გაზეთში დაბეჭდილია ბრალდებულება ყარაგეორგიევიჩისა სახელმწიფო ღალატში, რომელიც (ღალატი) იმითი გამოცხადდა, რომ გასულს ნოემბერში განიზრახა სერბიის მთავრის მილანის მოკვლა.

ს.-პეტერბურღი, 20 დეკემბერს. სახელმწიფო რჩევამ მიიღო ხუთიეე ახალი გადასახადის კანონის პროექტი, რომელიც ფინანსის მინისტრმა წარადგინა: მომატება ღერბის ქაღალდის ფასისა, არაყის გადასახადი, რკინის გზაზე მოგზაურებისა, უძრავი მამულების სტრახში შეტანისა და ბამბის შემოტანის (გარდა იმ ბამბისა, რომელიც აზიის სამზღვრებზე შემოაქვთ და მიაქვთ).

1880 წელს იქნება გამართული მოსკოვში დიდი ნაციონალური გამოფენა ხელმწიფე იმპერატორის 25 წლის ჩინებულის მეფობის გამო.

ლონდონი, 20 დეკემბერს. ზღვის ადმირალმა ბორნბემ აცნობა ლეიარდს, რომ პრავიანტის დაკლების გამო, ინგლისის ფლოტი ხუთშაბათს იზმიდის ნავსადგურში მოვალ.

„ დელი ნიუსში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი პეშავარიდამ მიღებული: მთიულების გროვამ დაიპირა ინგლისის ჯარისაგან მიტოვებული ხაიბერის ხევის გზები (აღლანში), გააფუჭის ამ ქედზე გადასასვლელი გზა და გაწყვიტეს ტელეგრაფის მავთულები, ასე რომ ალიმუსჯიდში მყოფ ინგლისის ჯარსა და ინდოეთს შუა ყოველი კავშირი მოსპობილია.

სტამბოლი, 2 დეკემბერს. ყარათეოდორი-ფაშა დანიშნულია ოსმალეთის მხრით პირველ დანდობილ პირად და ალი-ფაშა მეორე დანდობილ პირად საბოლოო მორიგების პირობათა შედგენისათვის.

აშტრახანი, 21 დეკემბერს. აქ გაჩნდა სახადის მსგავსი ავათმყოფობა, რომელმანც მრავალი სული იმსხვერპლა.

მოსკოვი, 21 დეკემბერს. იმ დიდი ნაციონალური გამოფენისათვის, რომელიც 1880 წელს იქნება მოსკოვში, ააშენებენ ახალ შენობას ტვერის ქუჩის ბოლოს.

პეტერბურღის ბირჟა, 22 დეკემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები: მან. კაპ.

პირველი გამოცემის —	—96	—62
მეორე— — — — —	—94	—95
მესამესი — — —	94	75
მეოთხესი — — —	—94	75
აღმოსავლეთის პირ. —	92	—62
აღმოსავლეთის მეორე—	91	—50
ოქრო, ½ იმპერიალი —	8	—51

თფილ. თავად-აზნ. ბანკის

გირაოს ფურცელი— — „— „

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	237	—25
მეორე სესხის — — —	233	—25

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	23	—25	პენსი
ამსტერდამი— —	—116	—50	ცენტი
ბერლინი— — —	—196	—50	ჰფენიგი
პარიჟი — — —	—241	—	„ სანტიმი
კავკასიის კერასინი—	„—	„	—

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ა. თუთაევის სამ-მოქმედებიანი კომედია; „**რძალი, მული და მაშენიკები**„—თფილისში: ბრიქუროვის, ბარათოვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში,

ვლადიკავკაზს: ბორგი ბარათოვთან, ბორში: ზაქარია დონდაროვთან, ცხინვალში: თ. ვანო თაქთაქოვთან, საქაშეთს: თ. ნიკო დიასამესწინ მეჯვრისხევს: მასწავლებელ მოსე ნათაძესთან, ქუთაისს: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და დ. ბოკერიასთან, სამტრედიას: ბორდანე სიხარულიძესთან, ფოთში, ელიზბარ ბაბალოვთან.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე თუთაევის მეორე კომედია.—„**ცოლი ვიტირო, თუ ფული?**“

1879 წელს გაზეთი

ბაქოს ცნობანი

(БАКИНСКІЯ ИЗВѢСТІЯ)

ბამოვა ბაქოში ისე, როგორც წინა წლებში გამოდიოდა.

ღირება წელიწადში, ბაქოში, მიტანით—5 მან; ნახევარ წლით—3 მან., სამთვით—1 მან. 75 კ., თვეში —75 კ. გაგზავნით ყველა ქალაქებში—6 მან., ½ წლის—3 მან. 50 კაპ., სამი თვით —2 მან., თვეში—90 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება ბაქოში, დადაშევის სახლში, მილუტინის ქუჩაზედ და ბაქოს ურთიერთ კრედიტის ბანკში.

ბაქოს გარეთ მცხოვრებნი ამ ადრესით დაიბარებენ გაზეთს: Въ Баку, въ редакцію „Бакинскихъ Извѣстій.“

დამარხვა

ვისაც ჰსურს თავიანთ **მიცვალებულის ბასვენების დროს** ჰყავდეს **მუზიკა** იაფ ფასად, შეუძლია მამართოს **ჩესლავიანურ ორკესტრის** დირექტორს უფ. მატუშეკს, რომელიც ცხოვრობს **მუხრანსკის ქუჩაზედ, სახლის № 27.**

მომავალ 1879 წელს

რუსული ყოველ-დღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი

„ტფილისის მოამბე“

(ТИФЛИССКІЙ ВѢСТНИКЪ)

გამოვა იმავე პროგრამმითა და იმავე თანამშრომელების მონაწილეობის მიღებით, როგორც წელს გამოდიოდა.

გაზეთის ფასი

	გაუგზავნელად მან.	კაპ.	გაგზავნით მან.	კაპ.
ერთის წლით — — — — — —	11	— „	12	— „
ნახევარ წლით — — — — —	6	— „	6	50
სამი თვით — — — — — —	3	50	4	— „
ერთის თვით — — — — — —	1	25	1	50

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ერევნის მოედანზე, ხარაზოვის სახლებში, № 3.

ქალაქს გარეშე მცხოვრები ამ ადრესსით დაიბარებენ გაზეთს: Въ Тифлисъ, въ редакцію „Тифлисскаго Вѣстника“. (5—2)

ლექსები

„სიყვარული“

შედგენილი ანთ. ჯუღელისაგან გამოვიდა და იყიდება ტფილისში ჩარკვიანის, ვართანოვის, გრიქუროვის და სხვა წიგნის მაღაზიებში და „ივერიის“ რედაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას, გ. ტოფურიძის დუქანში და აბაშის სტანციაზე პ. მელიქოვის დუქანში, ზესტაფონს ჩუბინიძის და ქოსტავას დუქანში.

ფასი ორი შაური. ოცს ეგზემპლიარს ვინც იყიდის ერთად, მას თითო ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კაპ. მეტს ვინც იყიდის იმას შვიდ კაპეიკათ.

დაიბეჭდა და ისყიდება საქართველოს

კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.

ტფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. გორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: ქ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: მლისბარ ბაქალოვთან, ოზურგეთში, გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთად გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

გამოვიდა და ისყიდება ტფილისში, მხოლოდ ზ ა ქ ა რ ი ა გ რ ი ქ უ რ ო ვ ი ს კავკაზიის საწიგნო მაღაზიაში, ახალი წიგნი, ლიტოგრაფის ყდითა (სურათითა):

„სახალხო მეჯლისი“

სხვა და სხვა ახალი სიმღერები

თ ქ მ უ ლ ი

გიორგი ი. სკანდარ-ნოვისაგან.

ფასი 30 კაპეიკი,

მხოლოდ ნარდათ მყიდველთათვის შეი-

ვართანოვის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო შკოლებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, მეორე შესწორებული გამოცემა. ფასი ექვსი შაური, ყდაში გადაკრული ცხრა შაური. თუ რომელიმე შკოლა იყიდის ერთათ ოც-და-ათ ეგზემპლიარსა, ან რომელიმე კერძო პირი ასსა, ეგზემპლიარი დაეთმობა უყდო ხუთ შაურათ, ყდიანი ორ აბაზათა.

ბუნების კარი, ანუ საკითხავი წიგნი, დაბალ კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა, შევსებული და შემკული სურათებით და საქართველოს კარტით; ფასი ხუთმეტი შაური. ეგზემპლიარი დაეთმობა თოთხმეტ შაურათ, ვინც ერთათ იყიდის თხუთმეტ ეგზემპლიარსა,—ცამეტ შაურათ, ვინც ერთათ წაიღებს ოც-და-ათ ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ ასი ეგზემპლიარის ერთათ მყიდველსა. ვისაც ჰსურს ყდაში გადაკრული ვიყიდოს, უნდა ამ ფასს დაუმატოს სამი შაური.

საყმაწვილო კონა პირველ დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, გამოცემა პირველი, ფასი ექვსი შაური.

პატარა ბიბლიოთეკა, პირველი წიგნი, შეიცავს სამს საყმაწვილო მოთხრობასა; ფასი ორი შაური.

აქვე ისყიდება ყველა ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
ტფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი . . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	6
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი . . .	12	13			3		1	69
ყვირილა . .	1	18	ღამ.		3	98	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
ტფილისი . .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოცი სიტყვა ტფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) ტფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ახალქალაქს (?) — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: ტფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ:	კაპ.
ლია წიგნის	4
დაბ. ქაღალდის (ხამი მისხალი) .	8

მაზანდა	მან	კაპ
ტფილისი, 19 დეკემბერს.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1	95
ფქვილი წითელი . . .	1	70
ქერი ფუთი	1	35
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	20
— ამერიკისა, ფუთი . .	8	40
გაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთი.	7	20
— თარაქამისა ფუთი . .	4	60
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	—
ქონი, ფუთი	5	20
ქონის სანთელი ფუთი .	7	60
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	50
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, გროც. ფუთი .	8	40
—ფხვნილი ფუთი . . .	6	40
ყავა გრგვალი, გირვ . .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი	13	—
თამბაქო, საშუალო ფთ.	6	80

ტფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და ბარალევიჩი — შინაგ. ავათ., მიუხარიანცი — საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი — შინაგ. ა. ბახუტოვი — საბებიო და ბავშვის, პეუნოვი — თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი: ვერმიშევი შინაგანი.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი — შინაგ., მიუხარიანცი — სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი- შინაგ., ა. ბახუტოვი — საბებიო ქალისა და ბავშვების.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი — თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 22 Декабря 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.